



შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრი

ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის ბუნებისმეტყველება

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისაგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 65.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 5 საათი.

გისურვებთ წარმატებას!



➤ კითხვა არჩევითი პასუხებით - დავალება № 1-21; 27-34; 42-48.

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. არჩეული პასუხი გადაიტანეთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხების შესაბამის უჯრედში გააკეთეთ აღნიშვნა - X. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

➤ შესაბამისობის დადგენა - დავალება № 35-37

ინსტრუქცია

დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში. თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 1.


➤ ინფორმაციის ანალიზი - დავალება № 22-26; 38-41; 49.

ინსტრუქცია

ყურადღებით გაეცანით მოცემულ ინფორმაციას (ფოტო, ცხრილი, გრაფიკი და სხვ.) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხი ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილზე. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

საგნობრივი ცოდნა

1. ილუსტრაციის გამოყენებით განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოთი აღნიშნული ძვალი გვხვდება ქვედა კიდურში?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

2. ადამიანის რომელმა საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს ეკოსისტემაში ბიომრავალფეროვნების შემცირება?

I – ტყის გაჩეხვამ

II – უკონტროლო ნადირობამ

III – ველების სახნავ-სათესად გამოყენებამ

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

3. ილუსტრაციაზე რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული შხამიანი სოკო?



- ა) A
- ბ) B
- გ) C
- დ) D

4. რომელი ცხოველები ცხოვრობენ ჯგუფებად?

I – ფუტკრები

II – ლომები

III – მაიმუნები

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

5. ჩამოთვლილი ეკოსისტემებიდან რომელია ბუნებრივი?





ა) ვენახი;

ბ) ბოსტანი;

გ) ტყე;

დ) ყანა.

6. იხელმძღვანელეთ ილუსტრაციით და განსაზღვრეთ, რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ მწერებს აქვთ გამაფრთხილებელი შეფერილობა.



- ა) A და C;
- ბ) B და D;
- გ) A და D;
- დ) B და C.

7. რომელ დაავადებას იწვევს ვირუსი?

- ა) გრიპს;
- ბ) დიფტერიას;
- გ) ტუბერკულოზს;
- დ) შავ ჭირს.

8. რომელი ორგანიზმები აუმჯობესებენ ნიადაგის ნაყოფიერებას?

I – ჭიაყელები

II – ლპობის ბაქტერიები

III – სოკოები


ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

9. ილუსტრაციაზე გამოსახულია სხვადასხვა მცენარის ნაყოფი. რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ ნაყოფს ახასიათებს თვითგავრცელება?



ა) A

ბ) B

გ) C

დ) D

10. ფოტოსინთეზის შედეგად წარმოიქმნება:

- ა) წყალი და ნახშირორჟანგი;
- ბ) ჟანგბადი და ნახშირორჟანგი;
- გ) ჟანგბადი და შაქარი;
- დ) ნახშირორჟანგი და შაქარი.

11. მწარმოებლები ეკოსისტემაში:

- ა) იყენებს მზა ორგანულ ნივთიერებებს;
- ბ) შლის ორგანულ ნარჩენებს;
- გ) სინათლის გამოყენებით წარმოქმნის ნახშირწყლებს;
- დ) გარდაქმნის ორგანულ ნივთიერებებს.

12. ილუსტრაციაზე რომელი რომაული ციფრით აღნიშნული ცხოველი სუნთქავს მხოლოდ ფილტვების მეშვეობით?



I



II



III

- ა) მხოლოდ I;
- ბ) მხოლოდ II;
- გ) მხოლოდ III;
- დ) II და III.


13. უდაბნოში ზოგიერთი ცხოველი საკვების მოსაპოვებლად სოროდან ღამით გამოდის. ძირითადად რომელი ეკოლოგიური ფაქტორისაგან იცავს თავს ცხოველი?

- ა) ჭარბი სინათლისაგან;
- ბ) ტემპერატურისაგან;
- გ) წყლის დაკარგვისაგან;
- დ) მტაცებლებისაგან.

14. ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორია ბიოტური?

- ა) წვიმა და სეტყვა;
- ბ) ოკეანის დაბინძურება ნავთობით;
- გ) ტყის შეწამვლა პესტიციდებით;
- დ) ყანაში ფაროსანას შემოსევა.

15. რომელი ნათურა (ნათურები) იქნება ანთებული K_1 და K_2 ჩამრთველების ჩართვის შემდეგ? დენის წყაროს სიმძლიერე საკმარისია ნათურების ასანთებად.



- ა) არც ერთი ნათურა არ იქნება ანთებული;
- ბ) მხოლოდ I ნათურა;
- გ) მხოლოდ II ნათურა;
- დ) ორივე ნათურა იქნება ანთებული.

16. გვაქვს ოთხი წერტილოვანი მუხტი: მუხტი 1, მუხტი 2, მუხტი 3 და მუხტი 4. ცნობილია, რომ მუხტი 1 და მუხტი 2 მიიზიდავს ერთმანეთს, მუხტი 2 და მუხტი 3 განიზიდავს ერთმანეთს, მუხტი 3 და მუხტი 4 მიიზიდავს ერთმანეთს. ჩამოთვლილთაგან რომელია ჭეშმარიტი?

ა) მუხტი 1 და მუხტი 4 მიიზიდავს ერთმანეთს;

ბ) მუხტი 2 და მუხტი 3 მიიზიდავს ერთმანეთს;


გ) მუხტი 1 და მუხტი 3 განიზიდავს ერთმანეთს;

დ) მუხტი 2 და მუხტი 4 მიიზიდავს ერთმანეთს.

17. რომელი საერთო თვისება ახასიათებს სითხეებსა და აირებს?

- ა) ვერ ინარჩუნებს საკუთარ ფორმას;
- ბ) ვერ ინარჩუნებს საკუთარ მოცულობას;
- გ) ინარჩუნებს საკუთარ ფორმას;
- დ) ინარჩუნებს საკუთარ მოცულობას.

18. რამდენით მეტია მარჯვენა მენზურაში სითხის მოცულობა მარცხენასთან შედარებით (იხ. ნახ.)?



- ა) 4 სმ³-ით;
- ბ) 6 სმ³-ით;
- გ) 8 სმ³-ით;
- დ) 9 სმ³-ით.

19. მოცემული მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?


- ა) ჰაერი მარტივი ნივთიერებაა;
- ბ) ჰაერი რთული ნივთიერებაა;
- გ) ჰაერი ნარევია;
- დ) ჰაერი ნაერთია.

20. რა ეწოდება პროცესს, რომლის საშუალებითაც ხდება ნავთობის გადამუშავება?



- ა) გამოხდა;
- ბ) გაფილტვრა;
- გ) სუბლიმაცია;
- დ) კონდენსაცია.

21. ჭიქაში მოათავსეს თოვლი, მასში ჩაუშვეს თერმომეტრი და დაიწყო ჭიქის გაცხელება. ყოველი წუთის შემდეგ იწერდნენ თერმომეტრის ჩვენებას. მიღებული შედეგების საფუძველზე ააგეს ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი. გრაფიკის მიხედვით, რა დრო დასჭირდა თოვლის სრულად გადნობის შემდეგ მიღებული წყლის ადუღებას?




- ა) 6 წთ;
- ბ) 8 წთ;
- გ) 10 წთ;
- დ) 18 წთ.

22. (1 ქ.) მოცემულთაგან რომელია სუფთა ნივთიერება და რომელი ნივთიერებათა ნარევი?
 ცხრილის შესაბამის უჯრაში დასვით ნიშანი X.



	1. გრანიტი	2. სოდა	3. სპირტი	4. მინერალური წყალი
I. ნივთიერებათა ნარევი				
II. სუფთა ნივთიერება				

23. (1 ქ.) ილუსტრაციაზე ლათინური ასოებით აღნიშნულია თუთის აბრეშუმხვევისას სასიცოცხლო ციკლის ეტაპები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში სწორი თანმიმდევრობით ჩაწერეთ ციკლის ეტაპების შესაბამისი ლათინური ასოები (ციკლის ათვლა დაიწყეთ C-დან).




I	II	III	IV
C			

24. (1 ქ.) ილუსტრაციაზე მოცემული სახეობების გამოყენებით შეადგინეთ ხუთი საფეხურისაგან აგებული კვებითი ჯაჭვი. ორგანიზმების აღნიშვნელი ლათინური ასოები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის უჯრებში.



25. (2 ქ.) იხელმძღვანელეთ ილუსტრაციით და უპასუხეთ კითხვებს:



25.1. (1 ქ.) რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ ნაწილში ხდება სისხლის ჟანგბადით გამდიდრება?

25.2. (1 ქ.) რომელი ლათინური ასოთი აღნიშნულ ნაწილში ხდება ჰაერის გათბობა, დატენიანება და მტვრის ნაწილაკებისაგან გათავისუფლება?

26. (2 ქ.) გაანალიზეთ ილუსტრაცია და უპასუხეთ კითხვებს:

I



II



26.1. (1 ქ.) რა ზოგადი ნიშნით აერთიანებენ ერთ სისტემურ ჯგუფში ილუსტრაციაზე გამოსახულ ყველა ცხოველს?

26.2. (1 ქ.) რა ნიშნით არიან დაჯგუფებული ილუსტრაციაზე გამოსახული ცხოველები მწკრივში?

27. რომელი გეოგრაფიული ობიექტია უღელტეხილი?

ა) გეგა;

ბ) გოდერძი;

გ) დალი;

დ) კლიჩი.

28. რა მიმართულებით მდებარეობს ქ. თბილისიდან წალკის წყალსაცავი?

ა) ჩრდილო-აღმოსავლეთის;

ბ) ჩრდილო-დასავლეთის;

გ) სამხრეთ-აღმოსავლეთის;

დ) სამხრეთ-დასავლეთის.

29. რომელი მდინარეა მდ. მტკვრის მარჯვენა შენაკადი?

ა) ალაზანი;

ბ) ხრამი;

გ) იორი;

დ) არაგვი.

30. რომელი მდინარის შესართავი მდებარეობს ზღვის დონეზე დაბლა?

ა) დუნაის;

ბ) ნილოსის;

გ) ვოლგას;

დ) ამაზონის.

31. რას უდრის ადგილზე მანძილი ორ დასახლებულ პუნქტს შორის, თუ რუკის მასშტაბია 1 : 200 000 და მათ შორის მანძილი რუკაზე 4 სმ-ია?

ა) 80 მ;

ბ) 800 მ;

გ) 8 კმ;


დ) 80 კმ.

32. რომელი მეტეოროლოგიური ხელსაწყოა სურათზე ნაჩვენები?




- ა) ანემომეტრი;
- ბ) სეისმოგრაფი;
- გ) ბარომეტრი;
- დ) ჰიგრომეტრი.

33. ქვემოთ მოცემული ხელსაწყოებიდან რომელია მზის საათი?



34. რომელი ციფრითაა სქემაზე აღნიშნული ლავა?



- ა) 1
- ბ) 2
- გ) 3
- დ) 4

35. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება არ არის შესაძლებელი):

	I ჩამონათვალი		II ჩამონათვალი
ა	კალიფორნიის ნ-კ.	1	კვეთს გრინვიჩის მერიდიანი
ბ	მდ. ენისეი	2	კვეთს კირჩხიბის ტროპიკი
გ	ქ. კიტო	3	კვეთს თხის რქის ტროპიკი
დ	კ. მადაგასკარი	4	კვეთს ჩრდილოეთის პოლარული წრე
ე	თანამეგობრობის ზღვა	5	კვეთს სამხრეთის პოლარული წრე
ვ	ატლასის მთები	6	კვეთს ეკვატორი
		7	კვეთს თარიღთა ცვლის საერთაშორისო ხაზი

36. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოორება შესაძლებელია):

	I ჩამონათვალი		II ჩამონათვალი
ა	მერკური	1	მზის სისტემის პლანეტა, რომელსაც არ გააჩნია თანამგზავრი.
ბ	სატურნი	2	მზის სისტემის პლანეტა, რომელიც 2006 წლიდან რეკლასიფიცირებულია „ჯუჯა პლანეტების“ ჯგუფში.
გ	ვენერა	3	მზის სისტემის პლანეტა, რომელიც შედის გაზის-გიგანტების ჯგუფში.
დ	პლუტონი		
ე	ნეპტუნი		
ვ	ურანი		

37. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამოჩენა არ არის შესაძლებელი):

რუკის ფრაგმენტი



კონტინენტი


1	2	3	4	5	6	7
სამხრეთი ამერიკა	აფრიკა	ჩრდილოეთი ამერიკა	აზია	ავსტრალია	ევროპა	ანტარქტიდა

38. (1 ქ.) სურათზე ნაჩვენებია შუადღის ჩრდილი. ახსენით, რომელ ნახევარსფეროში (ჩრდილოეთსა, თუ სამხრეთში) იმყოფება ბავშვი?



39. (1 ქ.) ახსენით, რატომ არის შეუძლებელი ეირის ტბის მიდამოებიდან ღამით მოწმენდილ ცაზე ჰორიზონტის მხარეების განსაზღვრა პატარა დათვის თანავარსკვლავედის საშუალებით?
40. (1 ქ.) დაასახელეთ თანავარსკვლავედი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ადგილზე ორიენტირება ეირის ტბასთან?

41. (5 ქ.) გაანალიზეთ მეტეოგრამა და უპასუხეთ კითხვებს:
ქ. ოსლო



- 41.1. (2 ქ.) რომელ კალენდარულ დღეს მოვიდა ქ. ოსლოში დაახლოებით 22 მმ. ნალექი და რა სახის ნალექი აღინიშნა ქალაქში?
- 41.2. (1 ქ.) რისი ტოლია 23 აგვისტოს ჰაერის ტემპერატურის ამპლიტუდა? აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი.
- 41.3. (2 ქ.) 22 აგვისტოს რომელ საათზე შეინიშნებოდა უფრო ძლიერი ქარი ქ. ოსლოში? ახსენით, როგორ გარკვეით ეს გარემოება აღნიშნული მეტეოგრამის საშუალებით?

აკადემიური უნარები

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ, მასზე პასუხის გასაცემად, შესაძლებელია, დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

სხვა ადამიანის შეხედულებების, ემოციების, განზრახვების გაგებისა და ამ ცოდნის სოციალური სიტუაციების სამართავად გამოყენების უნარს „გონების თეორიას“ უწოდებენ. ეს უნარი ბავშვის სოციალური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა მნიშვნელოვანი საუბრის წარმართვა, კონფლიქტების მოგვარება, მეგობრების შენარჩუნება. თუკი გვეცოდინება, რას ფიქრობენ, რას ელიან, რას განიცდიან ჩვენ გვერდით მყოფი ადამიანები, უკეთ შევძლებთ მათი ქცევის პროგნოზირებას და უკეთ ვუპასუხებთ მათ შესაბამისი ქცევით.

გონების თეორიის შესწავლას არაერთი ექსპერიმენტი მიეძღვნა. ერთ-ერთი ექსპერიმენტი შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: 1. ბავშვს, პირობითად ანას, აჩვენებენ შოკოლადის ყუთს (რომელზეც შესაბამისი ეტიკეტია დაკრული) და ეკითხებიან, მისი აზრით, რა შეიძლება იდოს ამ ყუთში? ანა, ბუნებრივია, პასუხობს, რომ ყუთში შოკოლადია; 2. ხსნიან ყუთს და აჩვენებენ ანას, რომ ამ ყუთში სათამაშო ძაღლი დევს. შემდეგ ანას თვალწინ ხურავენ ყუთს; 3. შემდეგ ოთახში შემოჰყავთ სხვა ბავშვი, პირობითად, გიორგი და ეკითხებიან ანას: გიორგის არასოდეს ჩაუხედავს ამ ყუთში, შენი აზრით, რას იფიქრებს გიორგი, რა დევს ყუთში? ერთ-ერთი კვლევის მიხედვით ამ შეკითხვაზე სწორად უპასუხა 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 86%-მა, ხოლო 4-დან 6 წლამდე ბავშვთა დაახლოებით 50%-მა. ეს შედეგი აიხსნება იმით, რომ 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები რეალობისა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის შეხედულების ერთმანეთისგან განსხვავებას, იმის გაგებას, რომ შესაძლოა ადამიანს რეალობის შესახებ ცრუ წარმოდგენა ჰქონდეს.

შეკითხვებზე გადასვლა: [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#)

გონების თეორია მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარების დარღვევების პროგნოზის თვალსაზრისით. მაგალითად, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, რომელთა მთავარ პრობლემას კომუნიკაციის, ურთიერთობის დამყარების სირთულე წარმოადგენს, ეს უნარი გვიან უვითარდებათ ან შეიძლება სრულიად არ განუვითარდეთ. აუტისტ ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანს შეიძლება მისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს.

გონების თეორიის განვითარების მექანიზმის ახსნას რამდენიმე სხვადასხვა თეორიით ცდილობენ. სიმულაციის თეორიის მიხედვით, რომელიც ფრანგი ფილოსოფოსის რენე დეკარტის მოძღვრებას ეფუძნება, ბავშვი თავდაპირველად სწავლობს საკუთარი აზრების, ემოციებისა და განზრახვების იდენტიფიცირებას, ხოლო შემდეგ სიმულირებს წარმოსახვისას, წარმოიდგენს, სხვის ადგილზე რომ ყოფილიყო, რას იფიქრებდა და რას იგრძნობდა. ალტერნატიული, „თეორიის თეორიის“ მიხედვით, ბავშვი საკუთარ გარემოზე დაკვირვებისა და მისი შეფასების გზით ავითარებს გონების თეორიას. ბავშვი აკვირდება სხვა ადამიანებს, იაზრებს მათი ქცევის მოტივებს, ფიქრებს, ემოციებს და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობს საკუთარი გონებრივი პროცესებისა თუ ემოციების გაგებას.

სოციალური უნარების სწავლება რთულია, თუმცა, თუ გვეცოდინება, რა მექანიზმები უდევს საფუძვლად მათ განვითარებას, შევძლებთ, დავებმართოთ ბავშვებს, გაუმკლავდნენ იმ სოციალურ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ ყოველდღიურობა უყენებს.

შეკითხვებზე გადასვლა: [42](#) [43](#) [44](#) [45](#) [46](#) [47](#) [48](#)

42. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შეკითხვაზე შესაძლებელი პასუხის გაცემა პირველი აზრის მიხედვით?

- ა) რაში გვეხმარება გონების თეორია?
- ბ) როდის ვითარდება გონების თეორია?
- გ) როგორ ვითარდება გონების თეორია?
- დ) რომელი უნარებია გონების თეორიის განვითარების წინაპირობა?

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

43. მეორე აზნაცში აღწერილი ექსპერიმენტის მიხედვით 6-დან 9 წლამდე ბავშვების 14%-მა შეკითხვაზე - „გიორგის არასოდეს ჩაუხედავს ამ ყუთში, შენი აზრით, რას იფიქრებს გიორგი, რა დევს ყუთში? “ - უპასუხეს:

გიორგი იფიქრებს, რომ:

ა) ყუთი ცარიელია;

ბ) ყუთში დევს შოკოლადი;

გ) ყუთში დევს სათამაშო ძაღლი;

დ) ყუთში აწყვია როგორც შოკოლადი, ასევე სათამაშო ძაღლი.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

44. მეორე აზრაცში ვკითხულობთ: „ერთ-ერთი კვლევის მიხედვით ამ შეკითხვაზე სწორად უპასუხა 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 86%-მა, ხოლო 4-დან 6 წლამდე ბავშვთა დაახლოებით 50%-მა“. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს აღნიშნული შედეგი?

- ა) 6-დან 9 წლამდე ბავშვების უმეტესობას ჯერ კიდევ არ შეუძლია იმის გააზრება, რომ ადამიანს რეალობის შესახებ მცდარი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს;
- ბ) 4-დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით 50%-ს, ხოლო 6-დან 9 წლამდე ბავშვთა 14%-ს სავარაუდოდ, განვითარების დარღვევა აღენიშნებოდა;
- გ) 4-დან 6 წლამდე ბავშვების უმეტესობას უკვე შეუძლია გაიაზროს, რომ რეალობა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის წარმოდგენა შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან;
- დ) 6-დან 9 წლამდე ასაკში ბავშვებს უკეთ შეუძლიათ მოვლენების შესახებ სხვისი წარმოდგენების გაგება, ვიდრე 4-დან 6 წლამდე ასაკში.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

45. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება გამოგვადგეს იმის არგუმენტად, რომ გონების თეორია სოციალურ უნარებთან არის დაკავშირებული?

- ა) ეს უნარი ბავშვის სოციალური ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტთან არის დაკავშირებული, როგორებიცაა მნიშვნელოვანი საუბრის წარმართვა, კონფლიქტების მოგვარება, მეგობრების შენარჩუნება;
- ბ) 4 წლის ასაკიდან იწყებენ ბავშვები რეალობისა და ამ რეალობის შესახებ ადამიანის შეხედულების ერთმანეთისგან განსხვავებას;
- გ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებს, რომელთა მთავარ პრობლემას კომუნიკაციის, სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე წარმოადგენს, გონების თეორია გვიან უვითარდებათ ან შეიძლება სრულებით არ განუვითარდეთ;
- დ) სოციალური უნარების სწავლება რთულია, თუმცა, თუ გვეცოდინება, რა მექანიზმები უდევს საფუძვლად მათ განვითარებას, შევძლებთ დავეხმაროთ ბავშვებს, გაუმკლავდნენ იმ სოციალურ მოთხოვნებს, რომლებსაც მათ ყოველდღიურობა უყენებს.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

46. მესამე აზნაცში ვკითხულობთ: „აუტისტ ბავშვს უჭირს იმის გააზრება, რომ სხვა ადამიანს შეიძლება მისგან განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს.“ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ამ მოსაზრების ილუსტრაცია?

- ა) თუკი აუტისტ ბავშვს შემთხვევით გაუტყდა ჭიქა და ეს მხოლოდ მისმა ძმამ დაინახა, ის ხვდება, რომ ამ „დანაშაულის“ პასუხისმგებლობა დედის წინაშე ორივემ უნდა გაიზიაროს;
- ბ) თუკი აუტისტ ბავშვს შემთხვევით გაუტყდა ჭიქა და ეს მისმა ძმამ დაინახა, მას ჰგონია, რომ ძმა ამის შესახებ დედას აუცილებლად მოუყვება;
- გ) თუკი აუტისტმა ბავშვმა დაინახა და შესაბამისად, იცის, რომ მისმა ძმამ ჭიქა გატეხა, მაგრამ ეს დედას არ დაუნახავს, მას ჰგონია, რომ დედამაც იცის, ვინ გატეხა ჭიქა;
- დ) თუკი აუტისტმა ბავშვმა დაინახა და შესაბამისად, იცის, რომ მისმა ძმამ ჭიქა გატეხა, მაგრამ ეს დედას არ დაუნახავს, ის ხვდება, რომ დედამ არ იცის, ვინ გატეხა ჭიქა.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

47. ტექსტში წარმოდგენილია ორი თეორია, რომლებითაც ცდილობენ, ახსნან გონების თეორიის განვითარების მექანიზმი. რა მიმართებაა მათ შორის?

- ა) სიმულაციის თეორიაში წარმოდგენილი პრინციპი გონების თეორიის განვითარების მექანიზმის შესახებ ავსებს თეორიის თეორიის მიერ შემოთავაზებულ ახსნას;
- ბ) სიმულაციის თეორიაში წარმოდგენილია გონების თეორიის განვითარების შესახებ თეორიის თეორიის საპირისპირო პრინციპი;
- გ) ორივე თეორიაში გონების თეორიის განვითარების მექანიზმის შესახებ იდენტური ახსნაა წარმოდგენილი;
- დ) სიმულაციის თეორიაში წარმოდგენილი პრინციპი გონების თეორიის განვითარების შესახებ განამტკიცებს თეორიის თეორიაში წარმოდგენილ ახსნას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

48. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი საკითხი არ არის განხილული ტექსტში?

- ა) გონების თეორიის განვითარების საფუძვლები;
- ბ) გონების თეორიის ექსპერიმენტული დასაბუთება;
- გ) გონების თეორიის და სხვა კოგნიტური უნარების კავშირი;
- დ) გონების თეორიის მნიშვნელობა ბავშვის განვითარებისთვის.

დაბრუნება ტექსტის I გვერდზე

დაბრუნება ტექსტის II გვერდზე

49. ანალიტიკური წერა

ვაჟა-ფშაველა ლექსში „ჩემი ვედრება“ წერს :

„ ... ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;”

მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი პერსონაჟი თეიმურაზ ხევისთავი კი ამბობს:

„- ვინც თავის მტერს იბრალებს, ის თავისივე თავს ჰლუპავს. გულჩვილნი და გულკეთილნი ამ ქვეყნად ვეღარ გასძლებენ. მეც ცხოვრების წიგნაკში ასეთი სადღეისო მცნება ჩავიწერე: მგლებთან მგლობა და ცხვრებთანაც მგლობა.“

გაიაზრეთ მოცემული ნაწყვეტები და იმსჯელეთ:

- რა მორალური დილემაა წამოჭრილი მოცემულ ნაწყვეტებში?
- რა გამოწვევების წინაშე გვაყენებს ეს არჩევანი მასწავლებლებს სწავლებისა თუ აღზრდის პროცესში?
- რა შეიძლება დავსახოთ ამ პრობლემის გადაჭრის გზად?

*მსჯელობის გასამყარებლად მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები.
თქვენ მიერ დაწერილი თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 100 სიტყვას.*

(მაქსიმალური ქულა 11)